



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 36

2018 წლის 25 მაისი

ქ. ბათუმი

„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების და კულტურის სამსახურის მიერ 2018 წლის კულტურულ-საგანმანათლებლო, სპორტული, სტუდენტური და ახალგაზრდული ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №79 განკარგულებაში (დანართი №1, №2 და №3) ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ნადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების და კულტურის სამსახურის მიერ 2018 წლის კულტურულ-საგანმანათლებლო, სპორტული, სტუდენტური და ახალგაზრდული ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №79 განკარგულებით დამტკიცებულ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის კულტურულ-საგანმანათლებლო, სპორტულ, სტუდენტურ და ახალგაზრდულ ღონისძიებებში შეტანილი იქნას ცვლილება და ჩამოყალიბდეს თანდართული (დანართი №1, №2 და №3) რედაქციით.

2. განკარგულება ამოქმედდეს „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის N31 დადგენილების ძალაში შესვლის დღიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე



ნადიმ ვარშანიძე